„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 15.02.2022 წლის N 38/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 მარტის N24/2022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თბილისი, 17.30 -18.00 საათი, 4 აპრილი, 2022 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: თსუ პროფესორი მარინე ჩიტაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); თსუ ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე (კომისიის მდივანი); თსუ პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი; თსუ ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი და ილიას უნივერსიტეტის პროფესორი რუსუდან მირცხულავა.

დღის წესრიგი:

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ'' რექტორის 15.02.2022 წლის N 38/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მათი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მოღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მარინე ჩიტაშვილისა და კომისიის სხვა წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე კონკურსანტების გასაუბრებაზე გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს; შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ეკატერინე ფირცხალავას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0.

2. სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მედეა დესპოტაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0.

3. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ირინე ჟვანიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0.

4. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე თეონა ლოდიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0.

5. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ხათუნა მარწყვიშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0.

6. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ლილი ხეჩუაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0

7. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე მაია რობაქიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგია - 0

დაადგინეს:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თსუ პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თსუ პროფესორი იამზე კუტალაძე

კომისიის მდივანი: თსუ ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი რუსუდან მირცხულავა

თსუ პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

თსუ ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი